



**Porsche Club**

Georgia



Mercedes-Benz



საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაცია

/დამტკიცებულია სსსფ-ს  
პირველი ვიცე პრეზიდენტის მიერ/  
დ. მჭედლიშვილი

16.10.2018

**შეჯიბრების დებულება**

(დია ტურნირი)

21.10.2018

თბილისი 2018

# 1. შეჯიბრების დებულება

21.10.2018

1. მონაწილეთა რეგისტრაცია და ტექნიკური დათვალიერება	9:00 – 10:30 სთ.
2. ბრიფინგი	10:30 – 10:50 სთ.
3. კვალიფიკაციის სტარტი	11:00 სთ.
4. შეჯიბრების სტარტი	13:00 სთ
5. პროტესტები	ყოველი გარბენის შემდეგ
6. დაჯილდოება	19:00 სთ.

## 2. შეჯიბრების ორგანიზატორი, ოფიციალური პირები

შეჯიბრების ორგანიზატორი:

ა.(ა).ი.პ. „საქართველოს პორშეს კლუბი“

მისამართი: ქ. თბილისი, ბელიაშვილის 173

ტელ: +995 555 06 80 80. +995 595 08 68 77

e-mail: [lasha.narsia@gmail.com](mailto:lasha.narsia@gmail.com)

შეჯიბრების კოორდინატორი:

ლადო ჯავახიშვილი  
მობ.: 555 40 33 31

ოფიციალური პირები:

შეჯიბრის ხელმძღვანელი ;	ვლადიმერ ჯავახიშვილი	555 40 33 31
უსაფრთხოების კომისარი:	ლაშა ნარსია	595 08 68 77
ტექ. კომისარი:	შოთა ლევანიშვილი	593 64 45 54
შეჯიბრების მდივანი:	ლაშა ნარსია	595 08 68 77

## 3. შეჯიბრების ტრასა

3.1. შესასრულებელი გარბენის რაოდენობაა 2 მოგებამდე.

3.2. შეჯიბრების ხანგრძლივობაა 10:00 საათი

## 4. შეჯიბრების პირობები

4.1. შეჯიბრება ტარდება საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის (სსსფ) სპორტული კოდექსის შესაბამისად და წყვილთა რბოლის რეგლამენტის მოთხოვნებით პირად ჩათვლაში.

4.2. მრბოლელს უფლება აქვს განაცხადი გააკეთოს შეჯიბრების რეგლამენტის შესაბამისად.

4.3. ორგანიზატორს უფლება აქვს შეუჩეროს მონაწილეს განაცხადი, თუ მისი ავტომობილი არ აკმაყოფილებს ტექნიკურ მოთხოვნებს.

4.4. მრბოლელს უფლება აქვს განაცხადი გააკეთოს დებულების შესაბამის დროში. დაგვიანების შემთხვევაში განაცხადი არ მიიღება.

4.5. ერთი ავტომობილით ასპარეზობის უფლება აქვს 2 (ორი) მონაწილეს.

4.6. მონაწილეებს უფლება აქვთ აქვთ დააყენონ ავტომობილზე ნებისმიერი ტიპის საბურავი, გარდა სპორტული (სლიკი) საბურავისა.

## 5. შეჯიბრების წესები

5.1. სტარტი: მსაჯის მითითებით.

5.2. ფინიში: ზოლის გადაკვეთით.

5.3. რბოლა: მონაწილეების დაწყვილება ხდება საკვალიფიკაციო დროების მიხედვით. თითოეული მონაწილე საკვალიფიკაციო რბოლის დროს დისტანციას გადის 2-ჯერ. აქედან პირველი წრე არის გამახურებელი, ხოლო შემდეგი წრე არის საკვალიფიკაციო. საკვალიფიკაციო გარბენის შემდეგ, მონაწილე ტოვებს რბოლის ტერიტორიას.

5.4. წყვილში გამარჯვებული გადადის მომდევნო ეტაპზე, ხოლო დამარცხებული ეთიშება ასპარეზობას.

5.5. კვალიფიკაციის დროების მიხედვით დაკომპლექტდება საუკეთესო 16 მონაწილე როგორც მერსედესის მარკის ავტომობილებს შორის, ასევე პორშეს მარკის ავტომობილებს შორის.

5.6. პირველი შერკინება ხდება შემდეგი პრინციპით: მერსედესებს შორის საუკეთესო დროის მქონე მონაწილე ხვდება უარესი დროის მქონე მონაწილეს პორშეებს შორის.

5.7. იმ შემთხვევაში, თუ თითოეულ მარკის მონაწილეებს შორის ვერ ხერხდება 16 მონაწილის გამოვლენა, რბოლის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით ადგილზე შესაძლებელია დაწყვილების პრინციპის ცვლილება.

5.8. დისტანციის გავლის ყველა მცდელობა აითვლება სტარტიდან ფინიშის ჩათვლით.

5.9. არასწორად გავლილი სარბოლო ითვლება არ შესრულებად და მონაწილეს გარბენი ეთვლება წაგებად.

5.10. გარბენის დროს საგზაო ნიშნულთან შეხება რომელიც გამოიწვევს ზემოთ აღნიშნული ნიშნულის მონიშვნის ზონიდან გადაადგილებას ან წაქცევას, ჯარიმდება 2 წამით.

## 6. მონაწილეები

6.1. შეჯიბრებაზე დაიშვებიან პირები, რომელთაც გააჩნიათ ავტომობილის მართვის მოწმობა ან სსსფ-ს მიერ გაცემული მრბოლელის ლიცენზია.

6.2. მონაწილე ვალდებულია მონაწილის ბარათის შევსების დროს ჩაწეროს ინფორმაცია სრულად.

6.3. შეჯიბრება ატარებს ღია ტურნირის სახეს და მასში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ უცხოელ მრბოლელებს.

6.4. პასუხისმგებლობა მატერიალურ ზარალზე როგორც მონაწილეების და მათი ქონების მიმართებაში, ასევე მესამე პირთა და მათი ქონების მიმართებაში (მარტო დახურულ პარკში ყოფნის პერიოდის გარდა) ევალებათ უშუალოდ ზარალის გამომწვევ პირებს. ორგანიზატორი ამ პასუხისმგებლობას არ იზიარებს.

6.5. დაშვებულია ავტომობილის ტექ. შეკეთება და საწვავით შევსება უსაფრთხოების ნორმების დაცვით.

6.6. სარბოლო მონაკვეთზე უსაფრთხოების ღვედებისა არ ქონის შემთხვევაში მონაწილე მოიხსნება შეჯიბრებიდან.

## 7. მონაწილე ავტომობილები

7.1. შეჯიბრებაზე დაშვებულია ნებისმიერი ტიპის მერსედესის და პორშეს სატრანსპორტო საშუალება.

7.2. ავტომობილზე დაშვებულია სპონსორის და სპორტული აქსესუარების რეკლამირება ნებისმიერ ადგილას, გარდა ხედვითი და წინა გვერდითი შუშებისა.

7.3. ყველა მონაწილე ავტომობილს უნდა გააჩნდეს სასტარტო ნომრები ავტომობილის ორივე მხარეს.

## 8. პროტესტები

8.1. პროტესტები მიიღება სპორტსმენისაგან ან წარმომადგენლისაგან წერილობით შეჯიბრების ხელმძღვანელის სახელზე შეჯიბრების წინასწარი შედეგების გამოცხადებიდან 30 წუთის განმავლობაში ფულადი დეპოზიტის დადასტურებით.

8.2. პროტესტის დროს მონაწილეს შეუძლია წარმოადგინოს ინციდენტის ამსახველი ვიდეო მასალა.

8.3. პროტესტის ღირებულებაა 300 (სამასი) ლარი. მონაწილის გამართლების შემთხვევაში შესაძლებელია მას დაუბრუნდეს თანხის ნაწილი.

## 9. უენიშვნები და განმარტებები

9.1. საორგანიზაციო კომიტეტს უფლება აქვს შეიტანოს დამატებები და ცვლილებები ასპარეზობის რეგლამენტში, წინასწარი ან საერთო განცხადების სახით.

9.2. ორგანიზატორი უფლებამოსილია გადაიტანოს ან შეწყვიტოს შეჯიბრება ფორს-მაჟორული ან ორგანიზატორისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. აღნიშნულის შემთხვევაში არ აგებს პასუხს მიყენებულ მორალურ და მატერიალურ ზარალზე.